

ქვეყანათმცოდნეობითი ასპექტის როლი უცხო ენის სწავლების პროცესში

მზექალა აჭაიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი

ანოტაცია

ქვეყანათმცოდნეობის ასპექტის სწავლების პრობლემატურობას მრავალი ნაშრომი მიემდგვნა. ეს თემა სულ აქტუალური და ამოუწურავია. უცხო ენის სწავლების მეთოდების ცვლილება სოციალური მოთხოვნების, საერთაშორისო კონტაქტების, ასევე, იმ მომენტისთვის აქტუალური კულტურული და პოლიტიკური ფასეულობების შესაბამისად ხდება. სწავლების მეთოდების მოდიფიცირება იწვევს მისი ცალკეული ასპექტის განსხვავებული რაკურსით მიწოდებას ენის შემსწავლელისადმი. ქვეყანათმცოდნეობის ასპექტის როლი უცხო ენის სწავლების მეთოდების შესაბამისად იცვლებოდა. სტატიაში მოცემლია ქვეყანათმცოდნეობის ასპექტის სწავლება სხვადასხვა მეთოდთან მიმართებაში.

საკვანძო სიტყვები ქვეყანათმცოდნეობა, მეთოდები

უცხო ენის სწავლების მეთოდების ცვლილება მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული - სოციალური მოთხოვნების, საერთაშორისო კონტაქტების, ასევე, იმ მომენტისთვის აქტუალური კულტურული და პოლიტიკური ფასეულობების შესაბამისად ხდება სწავლების მეთოდების მოდიფიცირება. ყოველივე ეს იწვევს მისი ცალკეული ასპექტის განსხვავებული რაკურსით მიწოდებას ენის შემსწავლელისადმი. სხვადასხვა პერიოდში გერმანიაში სწავლების განსხვავებული მეთოდები იყო პოპულარული, რომლებიც განსხვავებულ პრიორიტეტებს განსაზღვრავდნენ: აუდიო-ვიზუალურ, კომუნიკაციურ, ან გრამატიკული ასპექტებს განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა. ქვეყანათმცოდნეობის ასპექტის როლი სხვადასხვა ეპოქაში უცხო ენის სწავლების სხვადასხვა მეთოდთან ერთად იცვლებოდა.

80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბდა ახალი მიმართებები ქვეყანათმცოდნეობის ასპექტის სწავლებაში, შეიქმნა „აბცდ-თეზისები გერმანულის, როგორც უცხო ენის სწავლებაში ქვეყანათმცოდნეობის როლის განსაზღვრისთვის“¹. ეს თეზისები აერთიანებდა ყველა გერმანულენოვან ქვეყანას იმ პერიოდისთვის - გერმანიის

¹ ABSD-Thesen zur Rolle der Landeskunde im Deutschunterricht

The 3rd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)
5-6 Desember, 2014, Materials

გედერაციულ და დემოკრატიულ რესპუბლიკებს, ავსტრიას და შვეიცარიას. მისი მიზანი იყო გერმანულენოვანი ქვეყნების რეგიონალური და ნაციონალური მრავალფეროვნების გაცნობა ენის შემსწავლელთათვის. მოგვიანებით, გერმანულენოვან სამყაროში განვითარებულმა ისტორიული ხასიათის ცვლილებებმა შეცვალა მიდგომა ქვეყანათმცოდნეობის ასპექტის სწავლებისადმი და ჩამოყალიბდა სრულიად ახალი, თანამედროვე მიდგომა ამ ასპექტის მიწოდების, რომელიც D-A-CH -კონცეპტის სახელითაა ცნობილი და მოიცავს გერმანიის, ავსტრიის და შვეიცარიის (ყველა გერმანულენოვანი ქვეყანის) გერმანულენოვანი კულტურის და საზოგადოების გაცნობას. იმ დრომდე არსებული, ინფორმაციის მიწოდებაზე დაფუძნებული ქვეყანათმცოდნეობის ასპექტი ამ კონცეპტის მეშვეობით ახალ ორიენტაციას იღებს. თავად შემსწავლელი ცდილობს საკუთარი ინტერესების მიხედვით ქვეყანაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდის გამოყენებით ქვეყანათმცოდნეობის თემატიკაში გარკვევას.

ქვეყანათმცოდნეობის ცნება საკმაოდ ფართო მნიშვნელობისაა და არსებობს მისი განსაზღვრის განსხვავებული მცდელობები. მკვლევართა ერთი ნაწილს (ს.ი. შმიდტი 1977: გიურთლერი და შტაინფელდი 1990) არაპოზიტიური მიდგომა ახასიათებთ ამ ასპექტისადმი და არ განიხილავენ მას ცალკე დისციპლინად. დრესლერი და როიტერი/როიტერი (1980) კი ქვეყანათმცოდნეობის ცნების ქვეშ განიხილავენ ენის შემსწავლელის უნარს უცხო კულტურის შესაბამისი ცხოვრებისა და ქვეყნის წესების ადექვატურად ათვისებისა.

სწავლების სხვადასხვა მეთოდი ქვეყანათმცოდნეობის ასპექტს განსხვავებული დიდაქტიკური მოდელის სახით გვათავაზობს. სწორედ ამიტომ განასხვავებენ კოგნიტიურ, კომუნიკაციურ და ინტერკულტურულ მეთოდებს ქვეყანათმცოდნეობის ასპექტის სწავლებისას.

კოგნიტიური მეთოდით ქვეყანათმცოდნეობის ასპექტი განიხილავს იმ ფაქტების და ინფორმაციის მიწოდებას ენის შემსწავლელისადმი, რომლის მეშვეობითაც მას თავისი „სურათი/ხატება“ ექმნება სამიზნე ენის საზოგადოებისა თუ კულტურისადმი. ამ მეთოდით ქვეყანათმცოდნეობის სწავლების მიზანია იმ ზოგადი და სისტემატიური ცოდნის გადაცემა უცხო ენის შემსწავლელისადმი, რომლებიც ფაქტებზე და რეალურ ინფორმაციაზეა დაფუძნებული. შინაარსობრივად ამ ასპექტის სწავლება მოიცავს პოლიტიკას, ისტორიას, კულტურას, სოციოლოგიას, გეოგრაფიას, განათლებას, ეკონომიკას. კოგნიტიური მეთოდით სწავლებისას ქვეყანათმცოდნეობის ასპექტი უცხო ენის გაკვეთილის ქვეშ არ მოიაზრება, დამოუკიდებელი საგანია და მხოლოდ სწავლის ზედა დონეზე მიეწოდება ენის შემსწავლელს. კოგნიტიური მეთოდით ქვეყანათმცოდნეობის ასპექტის სწავლებისას ძირითად მასალას წარმოადგენს სპეციალური/საგნობრივი ტექსტები, სტატისტიკა, ქვეყნების რუკები, სხვადასხვა სახის ინფორმაციები, ბიოგრაფიები და ა. შ. ამ მეთოდით ქვეყანათმცოდნეობის სწავლების ძირითადი კრიტიკის საფუძველი შემდეგ გარემოებებშია: ძალიან ზოგადია მიწოდებული ინფორმაცია, არაპრაქტიკულია და გამოყენებაზე ნაკლებად ორიენტირებული, ამასთან ერთად გერმანულენოვანი სამყარო საკმაოდ კომპლექსურადაა წარმოდგენილი და ენის შემსწავლელს რომელი ქვეყნის (გერმანიის,

The 3rd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)
5-6 Desember, 2014, Materials

ავსტრიის თუ შვეიცარიის) „სურათის“ წარმოდგენაში უნდა დაეხმაროს ეს ასპექტი, გაურკვეველია. კოგნიტიური მეთოდით სწავლებისას ქვეყანათმცოდნეობის ასპექტს საკმაოდ პრეტენზიული და რთულად განსახორციელებელი მიზანი აქვს დასახული.

მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან კომუნიკაციური მეთოდის განვითარებამ ქვეყანათმცოდნეობის ასპექტს განსხვავებული პერსპექტივა შესძინა. სწავლების თემატიკა ადამიანის ძირითადი ყოველდღიური ცხოვრებისეული გამოცდილების და მოთხოვნილებების საფუძველზე ყალიბდებოდა. ქვეყანათმცოდნეობითი ასპექტის დადებითი მხარე ამ მეთოდით სწავლებისა იმაში მდგომარეობს, რომ ენის შემსწავლელნი საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე აყალიბებენ უცხო კულტურულ სამყაროსთან კავშირს. სწავლების მიზანი სამიზნე ენის კულტურული და ქცევითი უნარების შექმნაა, რათა უცხო ენის შემსწავლელს არ ქონდეს ენასთან პრობლემები და ყოველდღიურობის გაუგებრობები თავიდან იქნას აცილებული. ქვეყანათმცოდნეობითი კომპეტენცია აადვილებს სამიზნე ენის კულტურის გაგებას და მასთან დაახლოებას. ქვეყანათმცოდნეობა ცალკე საგნად კი არ განიხილება, არამედ იგი უცხო ენის გაკვეთილშია ინტეგრირებული და ენის სწავლების საწყისი საფეხურებიდან ხდება მისი მიწოდება. ქვეყანათმცოდნეობის ასპექტის სწავლებისას მასალად ყოველდღიურ დიალოგებს, საინფორმაციო ტექსტებს, განცხადებებს და ა. შ. გამოიყენებენ. ამ მეთოდის ყოველდღიურობაზე აქცენტირებამ ენის შემსწავლელში მოტივაციის გაზრდა გამოიწვია. თუმცა აკრიტიკებდნენ ამ მეთოდსაც, რომ შეუძლებელი იყო ეს ასპექტი უცხო ენის გაკვეთილზე ყოველდღიურობის ყოველნიუანსს შეხებოდა და შესაბამისად შეუძლებელი იყო ყველა სიტუაციის გავარჯიშება და სიმულირება, ამასთან ერთად იგი აქცენტს სვამდა მხოლოდ ყოველდღიურობის თემატიკაზე.

80-იანი წლების დასაწყისიდან ჩამოყალიბდა სწავლების ინტერკულტურული მეთოდი. ქვეყანათმცოდნეობის ასპექტი ახალი გამოწვევების წინაშე დადგა - უცხოს და საკუთარის გაგებამ განსხვავებული პერსპექტივა შეიძინა. ინტერკულტურული მეთოდის ამოსავალი წერტილი არის კულტურა. ენის სწავლებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სამიზნე ენის მატარებლების კულტურული იდენტობა. „ინტერკულტურული კომპეტენცია“, რომელიც ინტერკულტურული სწავლების ძირითად მიზანს წარმოადგენს, უცხო ენის სწავლებასთან მიმართებაში გულისხმობს ქვეყანათმცოდნეობისა და ენის კომპეტენციის გარდა ასევე ფაქტობრივ ცოდნას ქცევის და კომუნიკაციის დაუწერელი წესებისა, რომელიც ამა თუ იმ სამიზნე ენის კულტურას გააჩნია. ინტერკულტურული კომპეტენციაა ის უნარი, რომელიც ინტერკულტურულ გაუგებრობებსა და გაუკვევლობებს თავიდან აგვარიდებს და უპრობლემო გარემოს ქმნის სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს შორის კომუნიკაციისას.² ინტერკულტურული კომპეტენციის ცნება გულისხმობს უცხო

² „Interkulturelle Kommunikation“ ist [...] die interpersonale Interaktion zwischen den Angehörigen verschiedener Gruppen, die sich im Blick auf die ihren Mitgliedern jeweils gemeinsamen Wissensbestände und sprachlichen Formen symbolischen Handelns unterscheiden „ Knapp/Knapp-Potthoff 1990:66

ენის შემსწავლელის უნარს, მოახდინოს საკუთარი და უცხო კულტურის დიფერენციაცია, შეძლოს ამის ამოცნობა კონკრეტულ სიტუაციებში და თანაგრძნობით და მოფრთხილებით მოეკიდოს უცხო კულტურას. სწორედ ამიტომ ქვეყანათმცოდნეობის ასპექტი მჭიდროდაა დაკავშირებული უცხო ენის გაკვეთილთან და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. მასალაც ძალიან ცოცხალია ტექსტების, სურათების, ვიდეოების სახით, რომელიც რეალურ ცხოვრებას ასახავს და უცხო ენის შემსწავლელს ასევე მის ნაწილად აგრძნობინებს თავს, აძლევს შედარების და დიფერენცირების საშუალებას. თუმცა ვერც ეს მეთოდი გადაურჩა კრიტიკას, რომელიც ძირითადად მიმართულია მსგავსისა და განსხვავებულის შედარებაზე, ტემინოლოგიური სიზუსტის არარსებობაზე და ა. შ. მიუხედავად კრიტიკისა ეს მეთოდი აღმოჩნდა ქვეყანათმცოდნეობის ასპექტის მიწოდების საუკეთესო და საკმაოდ მოტივირებადი მიდგომა ენის შემსწავლელებისადმი.

ქვეყანათმცოდნეობა ცალკე საგნად არ ისწავლება, იგი უცხო ენის გაკვეთილის განუყოფელ ნაწილად იქცა. ქვეყანათმცოდნეობის კურიკულუმი ტრადიციული სახიდან ინტერკულტურულ კომპეტენციაზე მორგებული გახდა. თუმცა ქვეყანათმცოდნეობის ასპექტის მიწოდებისას არსებობს ტენდენცია, სამიზნე ჯგუფის მოთხოვნების გათვალისწინების საფუძველზე მოხდეს ამა თუ იმ მეთოდის სინთეზური სწავლება, რათა ეს კომპეტენცია სათანადოდ იქნას ათვისებული ენის შემსწავლელისადმი. და ბოლოს მსურს დავასრულო სტატია პაულდრახის სიტყვებით, რომ ქვეყანათმცოდნეობა "ერთერთი ყველაზე რთული ასპექტია გერმანულის, როგორც უცხო ენის გაკვეთილის. მას არა აქვს დასასრული და ადამიანისთვისაც არასდროს არ სრულდება მისი შესწავლის პროცესი."³

ლიტერატურა

1. ABCD-Thesen zur Rolle der Landeskunde im Deutschunterricht. In: Deutsch als Fremdsprache, Leipzig, Heft 5/1990. S.306.
2. Altmayer, Claus (2007): Von der Landeskunde zur Kulturwissenschaft, Innovation oder Modetrend? In Germanistische Mitteilungen 65/2007.
3. Barkowski, H/ Krumm, H.-J. (2010): Fachlexikon Deutsch als Fremd- und Zweitsprache. Tübingen: Francke-Verlag.
4. Bausch, Karl-Richard; Christ, Herbert; Krumm, Hans Jürgen (Hrg.)(2007): *Handbuch Fremdsprachenunterricht*. 5. Aufl. Frncke Verlag. Tübingen/Basel.
5. Bredella, Lothar (1999): Zielsetzungen interkultureller Fremdsprachenunterrichts. In: Bredella, Lothar/Delanoy, Werner (Hrsg.): *Interkultureller Fremdsprachenunterricht*. Tübingen: Gunter Narr. S. 85-121.

³ Landeskunde ist "einer der schwierigsten Bereiche des Deutschunterrichts. Sie kommt nie an ein Ende und nie ist man fertig mit ihr" (Pauldrach, A.,1992:4)

The 3rd Teacher Conference "University and School"(Problems of Teaching and Education)
5-6 Desember, 2014, Materials

6. Dressler, G./Reuter, B./ Reuter, E. (1980): Welche Landeskunde braucht FU? Grundsätzliche Überlegungen zue Vermittlung von Sprache und Kultur im FU, InÖ Linguistik und Didaktik 11)43/44. München: Wilhelm Fink Verlag. S. 233-251.
7. Edmenger, Manfred(1996): Landeskunde im Fremdsprachenunterricht. Ismaning:Max Hueber.
8. Handbuch für Spracharbeit(1996) : Teil 5: Erlebte Landekunde. Hg. vom Goethe-Institut. Autorinnen: Saskia Bachmann u.a.
9. Knapp. Karlfried; Knapp-Potthoff, Annelie (1990): Interkulturelle Kommunikation. Zeitschrift für Fremdsprachenforschung 1, 62-93.
10. Lüger, H. (1991): Landeskunde – Aspekte eines problematischen Begriffs. Beiträge zur Fremdsprachenvermittlung 22. Konstanz.
11. Neuner, G.: Fremde Welt und eigene Erfahrung –zum Wandel der Konzepte von Landeskunde für den fremdsprachlichen Deutschunterricht. Tagungsdokumentation. Universität Gesamthochschule Kassel 1994, S. 14-39 (Kasseler Werkstattberichte zur Didaktik „Deutsch als Fremdsprache“ Heft 3).
12. Pauldrach, A.(1992): Eine unendliche Geschichte. Anmerkungen zur Situation der Landeskunde in den 90er Jahren. In: Fremdsprache Deutsch 6.
13. Ramin, Andreas (1989): Landeskunde im Rahmen interkultureller Germanistik. In: Info DaF 16, 2. S. 228-243.